09/01/2026

MES 5 26 0000007906

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის ,,თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის" სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის" ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;

პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის" მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის"დირექტორი, საბჭოს წევრი;

მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში" დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;

ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი;

დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის" დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის" თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;

ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;

ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის" ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;

კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის" დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნათია კვირიკაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - ქალაქ ახალციხის N1 საჯარო სკოლა:
ჟუჟუნა გოგოლაური - სკოლის დირექტორი
სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლა:
სარხან ხუბანოვი - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარის №2 საჯარო სკოლა:
ასმათი ჯიქია - სკოლის დირექტორი
სსიპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის საჯარო სკოლა:
ნუგზარ კვანტალიანი - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
სსიპ - ქალაქ ქუთაისის N8 საჯარო სკოლა:
ირაკლი ტაბატაძე - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

სსიპ - ქალაქ ახალციხის N1 საჯარო სკოლა:
ა) მაკა ტუკვაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ლანა ყურაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლა:
ა) ლელა ჯაში (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) გიორგი უღრელიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარის №2 საჯარო სკოლა:
ა) გიორგი ნებიერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამთა მურვანიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის საჯარო სკოლა:
ა) ცირა ნიკოლაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნიკა უთალიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ ქუთაისის N8 საჯარო სკოლა:
ა) ლიანა კობესაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);

ბ) ელენე კალანდაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2025 წლის 22 დეკემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:30 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.სსიპ - ქალაქ ახალციხის N1 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარის №2 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - ქალაქ ქუთაისის N8 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ცენტრს დაუკავშირდა სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლის ექსპერტი, ლელა ჯაში და ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე ითხოვა სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის პირველ საკითხად გადატანა.
საბჭომ გაიზიარა აღნიშნული შუამდგომლობა და დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - ქალაქ ახალციხის N1 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარის №2 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

4. სსიპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - ქალაქ ქუთაისის N8 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

1. სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ჯაშმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 07 და 08 ოქტომბერს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 10 ოქტომბრის N1343885 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 320 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის დროს აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 303.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ისეთ საკითხებს, რომლებიც სასკოლო საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანესი იყო და უშუალოდ უკავშირდებოდა მოსწავლეთა სოციალური, ემოციური და მოქალაქეობრივი კომპეტენციების განვითარებას. აღნიშნულ
კონტექსტში, სკოლა სისტემურად მუშაობდა ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორებიც იყო ნაადრევი ქორწინების პრევენცია, ბავშვთა უფლებების დაცვა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა. მისი თქმით, ასეთი პრაქტიკა ხელს უწყობდა მოსწავლეთა შორის თანასწორობის, ურთიერთპატივისცემისა და ტოლერანტობის კულტურის
განმტკიცებას. გარდა ამისა, აღნიშნული საქმიანობა მნიშვნელოვნად აძლიერებდა სკოლის როლს ადგილობრივ საზოგადოებაში - როგორც მხარდამჭერი, ღია და პასუხისმგებლიანი საგანმანათლებლო დაწესებულებისა.
ექსპერტმა, ლელა ჯაშმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტების შეფასება. მისი თქმით 1-ელი სტანდარტი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ვინაიდან კომპონენტები 1.1 და 1.2 შეფასდა „მეტწილად“, მე-3 და მე-4 სტანდარტები შეფასდა როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“ ვინაიდან კომპონენტები 3.1, 3.2, 3.3, 3.5, 3.6 და 4.2 შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართა დაფიქსირდა ხარვეზები, ასევე გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა ისაუბრა დაფიქსირებულ ხარვეზებზე და აღნიშნა, რომ სკოლაში არ არსებობდა დოკუმენტურად განსაზღვრული, სტრუქტურირებული მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა პერსონალის შეფასებასა და პროფესიული საჭიროებების სისტემურ იდენტიფიცირებას; პერსონალის განვითარების მიმართულებით ძირითადად ეფუძნებოდა შემთხვევით გადაწყვეტილებებს, ინდივიდუალურ ინიციატივას ან ადმინისტრაციის მცირერიცხოვან დაგეგმილ ნაბიჯებს, რაც ვერ უზრუნველყოფდა სისტემურ, გრძელვადიან და თანმიმდევრულ მიდგომას პროფესიული განვითარების პროცესებში; ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილი აქტივობები დაწესებულებაში არ ხორციელდებოდა, რაც დადასტურდა როგორც გასაუბრების, ისე დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე; სართულებზე გადაადგილება არ იყო უზრუნველყოფილი სსსმ მოსწავლეთათვის; სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული მატერიალური რესურსებით/ კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავდა მოსწავლეების, მასწავლებლების და სკოლის სხვა თანამშრომლების კომპიუტერული ტექნიკის მოხმარების პირობებს; დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი ღონისძიებების შესახებ სკოლამ ვერ წარმოადგინა ინფორმაცია/მტკიცებულებები; მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლის მიერ მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესების შესახებ სკოლამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები; სკოლაში კარიერული დაგეგმვის და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება არ ხორციელდებოდა, შესაბამისად, დირექციამ ვერ წარმოადგინა აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებები; დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა, რომ სკოლა მუდმივად აწვდიდა მოსწავლეებს/კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულებისა და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით და არ დასტურდებოდა, რომ დაწესებულება მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებდა გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.
ექსპერტმა ისაუბრა ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსზე და აღნიშნა, რომ შესრულებული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

- სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ) სისტემა;
- სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამის მექანიზმები;
- სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი.

ექსპერტმა, ლელა ჯაშმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესრულებული არ ჰქონდა შემდეგი რეკომენდაციები:

- სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
- სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები;
- სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
- პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

- სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
- იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
- სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგი დაცვას;
- სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები;
- სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
- სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
- სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
- სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისთვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;
- მოსწავლესთან/ მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება;
- სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი.

ნაწილობრივ შესრულებული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

- სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
- პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
- პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;

სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას. ექსპერტმა, ლელა ჯაშმა, აღნიშნა, რომ ინკლუზიური განათლების მიმართულებით სკოლა საკმაოდ აქტიურად მუშაობდა და შექმნილი ჰქონდა შესაბამისი გარემო.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, დავით კახნიაშვილი, დაინტერესდა, რა იყო სკოლისთვის ხელისშემშლელი ფაქტორი, რის გამოც ვერ შეასრულა ავტორიზაციის დროს მიღებული რეკომენდაციები.
სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ძირითადი მიზეზი, რის გამოც ვერ გაითვალისწინეს ავტორიზაციის დროს მიღებული რეკომენდაციები იყო ადამიანური რესურსის სიმწირე, თუმცა, აქვე დასძინა, რომ მონიტორინგის დროს მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებასა და გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრაზე დაწყებული ჰქონდათ აქტიური მუშაობა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, ადმინისტრაციული წარმოების ვადების გათვალისწინებით, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2025 წლის 22 დეკემბერი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:03
დასრულების დრო: 15:10

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლის (სკ/: 238146270) მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 22 დეკემბერი.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2026 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: 1-ელი, მე-3 და მე-4 სტანდარტები.

2. სსიპ - ქალაქ ახალციხის N1 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 21 და 22 ოქტომბერს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 04 ოქტომბრის N1297460 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 1400 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის დროს აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 1288.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილებაზე და აღნიშნა, რომ სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის, კარიერული დაგეგმვის და არაფორმალური განათლების კომპონენტის გაძლიერებას. 2024 წლიდან სკოლამ მოიპოვა, პროფესიული პროგრამა - Front-end დეველოპმენტის განხორციელების უფლება. სკოლა თანამშრომლობდა საზოგადოებრივ კოლეჯთან „ოპიზართან“. არაფორმალური კომპონენტის გაძლიერების მიმართულებით შექმნილი იყო კლუბები და წრეები, თანამშრომლობდა სხვადასხვა ორგანიზაციებთან და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერით ახორციელებდა მრავალფეროვან პროექტებს, კერძოდ, სამოქალაქო კლუბისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით განხორციელდა პროექტები „ვინ ქმნის ჩვენი სკოლის მატიანეს“, ,,გაუნაწილე და გაუთბე მასწავლებელს გული”, „წერილი მასწავლებელს“ და „წერილი მოსწავლეს“. USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში ,,სკოლა-ბიზნესის ფორუმზე“ დაფინანსდა მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიცირებული პროექტი ,,ერთად შევქმნათ შესაძლებლობების სამზარეულო’’, რომლის მიზანი იყო სკოლის პირველ სართულზე არსებული თავისუფალი ფართის მოპირკეთება და სივრცეებად დაყოფა არაფორმალური და სპორტული აქტივობების განსახორციელებლად. სკოლას მოპოვებული ჰქონდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის რეგიონის პირველობა მინი ფეხბურთში - გოგონათა გუნდი. ექსპერტის თქმით, ასოციაცია ,,ტოლერანტთან“ თანამშრომლობით, პირველ საჯარო სკოლასთან არსებულ მშობელთა საბჭოების წევრების ინიციატივით, სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე დამონტაჟდა და გაიხსნა ჭადრაკის დაფა. სკოლა აქტიურად მონაწილეობდა რეგიონის მასშტაბით გამართულ ღონისძიებებში და აღწევდა გარკვეულ წარმატებებს. კერძოდ, ახალციხის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებს შორის გამართული ინტელექტუალური თამაშის "რა? სად? როდის?" ოქროს ბუ მოიპოვა ახალციხის N1 საჯარო სკოლის გუნდმა- ,,XV მოქცევა".

ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტების შეფასება. მისი თქმით, 1-ელი და მე-4 სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივი შესაბამისობით“, ვინაიდან კომპონენტი 3.5 შეფასდა „ნაწილობრივად“.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართა გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსზე და აღნიშნა, რომ შესრულებული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

- სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა შემუშავდეს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში;
- სკოლამ შეიმუშავოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც დაეფუძნება სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

- სკოლამ შეიმუშავოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც მოცემული იქნება, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია;
- სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, სკოლაში დასაქმებულების მიერ კანონმდებლობით დადგენილი ცნობების წარმოდგენა;
- შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით დასკვნის მიღების უზრუნველყოფა;
- სკოლამ უზრუნველყოს ადაპტირებული სველი წერტილის განთავსება დარჩენილ სართულებზე;
- სკოლამ უზრუნველყოს ვებ-გვერდის დამზადება.

ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესრულებული არ ჰქონდა შემდეგი რეკომენდაციები:

- სკოლამ უზრუნველყოს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება;
- ლაბორატორიაზე წვდომის მიზნით კიბეზე პანდუსის/ლიფტის მოწყობა;
- სააქტო დარბაზში წვდომის უზრუნველყოფის მიზნით პანდუსის მოწყობა;
- ბუფეტში წვდომის უზრუნველყოფის მიზნით პანდუსის მოწყობა.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ახალციხის N1 საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი. ცე ნტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, ადმინისტრაციული წარმოების ვადების გათვალისწინებით, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2025 წლის 22 დეკემბერი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:26
დასრულების დრო: 15:32

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და

ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ქალაქ ახალციხის N1 საჯარო სკოლის (სკ/: 224081437) მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 22 დეკემბერი.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის სექტემბერში პერსონალის მართვის პროცესების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელების, კვალიფიციური მასწავლებლების დასაქმების მიზნით პრევენციული ღონისძიებების გატარების, ექიმის, დაწყებითი განათლებისა და სპორტის მასწავლებლის დასაქმების, პერსონალის საქმიანობის შეფასების, ხარისხის პოლიტიკის შესაბამისად რისკების იდენტიფიცირების და ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმის შემუშავების, სამოქმედო გეგმის შესაბამისად პროცესების განხორციელებისა და ხარისხზე პასუხისმგებელი პირის მოვალეობებში შესაბამისი ფუნქციების გამოკვეთის, ვებ-გვერდზე სტანდარტით გათვალისწინებული აუცილებელი ინფორმაციის ასახვის, ხოლო შესრულებისა და შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებისთანავე შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნისა და შენობის სრულად ადაპტირების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

3. სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარის №2 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, გიორგი ნებიერიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 05 და 06 ნოემბერს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 ოქტომბრის N1399313 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 100 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის დროს აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 72.

ექსპერტმა, გიორგი ნებიერიძემ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტების შეფასება. მისი თქმით 1-ელი და მე-4 სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 სტანდარტი შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით“, ვინაიდან კომპონენტები 3.1, 3.4 და 3.5 შეფასდა „მეტწილად“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართა გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსზე და აღნიშნა, რომ შესრულებული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

- სკოლამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან შესაბამისი ხედვა;
- სკოლამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს ხედვა, რომლითაც განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო – კულტურულ სივრცეს;
- სკოლამ სასკოლო საზოგადოების ჩართულობით უზრუნველყოს სკოლის მისიის (რევიზია), ხედვისა და ღირებულებების შემუშავება, სამუშაო ჯგუფის დაკომპლექტება სკოლამ უზრუნველყოს ისე, რომ მასში შედიოდეს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის წევრი, კერძოდ, მასწავლებლებისა და დირექციის გარდა შემუშავების პროცესში ჩართოს მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, მოსწავლე და სხვა პირები, რომლებიც შეძლებენ სასკოლო საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის თუ აზრის დაფიქსირებას, რაც შესაძლებელს გახდის სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის აზრის მაქსიმალურად გათვალისწინებას;
- სკოლამ უზრუნველყოს მისიის, ხედვისა და ღირებულებების სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარება;
- სკოლამ უზრუნველყოს შემუშავებული და დამტკიცებული ხედვისა და ღირებულებების საჯაროდ ხელმისაწვდომობა;
- სკოლამ უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიური დოკუმენტის დამტკიცება, რომელშიც ასახული იქნება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები;
- სკოლამ უზრუნველყოს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება და დამტკიცება;
- სკოლამ უზრუნველყოს შესრულების გაზომვადი ინდიკატორებისა და შესრულებისთვის საჭირო რესურსების გათვალისწინება სკოლის სამოქმედო გეგმაში;
- სკოლამ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში უზრუნველყოს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების გათვალისწინება;
- სკოლამ უზრუნველყოს თანამდებობრივი ინსტრუქციების მარეგულირებელ დოკუმენტში დირექტორი და მუშის ფუნქციების ასახვა; ექთნის ხელშეკრულებაში კანონმდებლობით გათვალისწინებული ექთნის შესაბამისი კომპეტენციების ასახვა;
- სკოლამ უზრუნველყოს 2020 წლის ივნისიდან სკოლაში დასაქმებული ყველა თანამშრომლის პირად საქმეში უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების განთავსება; ერთი დამლაგებლის პირად საქმეში უფლების ჩამორთმევისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის არარსებობის ცნობების განთავსება;
- თანამდებობრივ ინსტრუქციაში ყველა თანამშრომლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების ასახვა;

- სკოლამ უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი დოკუმენტის შემუშავება და დამტკიცება, რომელშიც გაწერილი იქნება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება/რევიზია);
- სკოლამ უზრუნველყოს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების იდენტიფიცირება და აღწერა;
- სკოლამ დეტალურად განსაზღვროს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის მექანიზმები;
- სკოლამ უზრუნველყოს შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის (შენობის მდგრადობის შესახებ) მოპოვება;
- საგანგებო შტაბის შექმნა და უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება;
- სამედიცინო კაბინეტის აღჭურვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01–23 ერთობლივ ბრძანების შესაბამისად.;
- სკოლამ უზრუნველყოს: 1. ბიბლიოთეკარის მომსახურების უზრუნველყოფა; 2. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის შემუშავება; 3. საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად სასწავლო რესურსების კატალოგის დამუშავება;
- სკოლამ უზრუნველყოს სკოლის ვებ–გვერდზე სკოლის შესახებ სტანდარტით განსაზღვრული შესაბამისი ინფორმაციის განთავსება;
- სკოლამ ყველა მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან უზრუნველყოს კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულების გაფორმება.

ექსპერტმა, გიორგი ნებიერიძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესრულებული არ ჰქონდა შემდეგი რეკომენდაციები:

- სკოლამ უზრუნველყოს დაწყებითი კლასების მასწავლებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი კადრის დასაქმება;
- შენობა–ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე დასკვნის/სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის თაობაზე მიწერილობის მოპოვება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი, დაინტერესდა მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებისთვის რა ეტაპზე იყო სკოლა.
სკოლის დირექტორის, ასმათი ჯიქიას თქმით, იგი იყო ახალი დირექტორი და მონიტორინგის ვიზიტი სკოლისთვის იყო დამხმარე პროცესი. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებისთვის მიმართული ჰქონდა პასუხისმგებელი ორგანოსთვის, ასევე, კვალიფიციური მასწავლებლის დასაქმების მიზნით გამოცხადებული ჰქონდათ ვაკანსია, თუმცა ვინაიდან დაწესებულება მდებარეობდა ძნელად მისადგომ ტერიტორიაზე, პოტენციურ დასაქმებულთა ინტერესი იყო ნაკლები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარის №2 საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.
ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, ადმინისტრაციული წარმოების ვადების გათვალისწინებით, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2025 წლის 22 დეკემბერი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:53
დასრულების დრო: 15:58

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარის №2 საჯარო სკოლის (სკ/: 220373708) მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 22 დეკემბერი.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის სექტემბერში მეთოდოლოგიის შესაბამისი სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების განხორციელების, სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გაანალიზებისა და მომავალი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში ინტეგრირების, კანონმდებლობით განსაზღვრული საკონკურსო განაცხადების წარდგენის ვადების დაცვის, დირექციის წევრისათვის კანონმდებლობით დადგენილი საათობრივი დატვირთვის ზღვრულ ოდენობაზე მეტი საგაკვეთილო საათების ჩატარების უფლების მოპოვების, საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი კადრის დასაქმების (დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი); უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის უფლებამოსილების სრულად განხორციელების, ვიდეო-სათვალთვალო სისტემის გამართვის, ხოლო შესრულებისა და შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებისთანავე შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნისა და შენობის სრულად ადაპტირების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

4. სსიპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 28 და 29 ოქტომბერს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 09 ნოემბრის N1519744 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 150 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის დროს აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 149.
ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტების შეფასება. მისი თქმით, 1-ელი და მე-4 სტანდარტები შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 სტანდარტი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ვინაიდან კომპონენტები 3.1, 3.4 და 3.6 შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართა დაფიქსირდა ხარვეზები, ასევე გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა დაფიქსირებულ ხარვეზებზე და აღნიშნა, რომ 4 დასაქმებულის პირად საქმეში არ იყო წარმოდგენილი ცნობები „უფლების ჩამორთმევის“ და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის“ შესახებ, ხოლო 1 თანამშრომლის პირად საქმეში არ იყო წარმოდგენილი ცნობები „ნასამართლეობის“, „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობისა“ და „უფლების ჩამორთმევის“ შესახებ, სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი 5 დასაქმებულის პირადი საქმე. ექსპერტის თქმით, სკოლის შენობის უკან იყო ტერიტორია, რომელიც არ იყო შემოსაზღვრული ღობით; ეზოში არსებული დაუსრულებელი შენობის საძირკველი იყო დაზიანებული და აღნიშნული გარემოებები საფრთხეს უქმნიდა მოსწავლეთა უსაფრთხოებას, გამოცემული ბრძანებების ნაწილი არ იყო ატვირთული/აღრიცხული დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში. ამასთან, საერთო ბრძანებების ჟურნალისა და დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის

შესწავლით ვლინდებოდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, ერთი და იგივე შიდა რეგულაცია/დოკუმენტი დამტკიცებული იყო ორჯერ (თავდაპირველი დოკუმენტის გაუქმების შესახებ ბრძანების გამოცემის გარეშე).

ექსპერტმა ისაუბრა ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსზე და აღნიშნა, რომ შესრულებული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

- სკოლამ უზრუნველყოს შემუშავებული სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების საჯაროდ ხელმისაწვდომობა;
- სკოლამ უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის შექმნა, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
- სკოლამ უზრუნველყოს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება, რომელიც შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
- სკოლამ უზრუნველყოს სკოლის სამოქმედო გეგმის შემუშავება. გაითვალისწინოს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც იქნება რეალისტური;
- სკოლამ უზრუნველყოს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შემუშავება, რომელიც მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
- სკოლამ უზრუნველყოს ერთწლიან სამოქმედო გეგმაში შემსრულებელ პირებად განსაზღვროს ისეთი თანამდებობრივი ერთეულები, რომლებიც არიან დამტკიცებული საშტატო განრიგით;
- სკოლამ შექმნას პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი, რის მიხედვითაც დარეგულირდება არა მარტო მასწავლებლის, არამედ სკოლის ყველა თანამშრომლის შეფასება და პროფესიული მხარდაჭერა;
- სკოლამ შეიმუშაოს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
- სკოლამ უზრუნველყოს შენობა - ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის მოპოვება;
- სკოლამ შეიმუშაოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი“, რომელშიც გამოიკვეთება კონკრეტული პირების პასუხისმგებლობები;
- სკოლამ შეიმუშაოს ,,პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი“ ;
- სკოლამ უზრუნველყოს ვებ გვერდის ამოქმედება;
- სკოლამ შეიმუშაოს ,,საზოგადოებასთან ურთიერთობს წესი.“, საიდანაც დადგინდება სკოლის ინტერესების გათვალისწინებით საკომუნიკაციო აქტივობების განხორციელების პირობები, ცნობადობის ამაღლების ღონისძიებების ჩატარების გზები, შიდა და გარე კომუნიკაციების მართვის პრინციპები, საინფორმაციო საშუალებების მართვისა და განვითარების სტრატეგიები, დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზისა და რეაგირების ფორმები;
- სკოლამ უზრუნველყოს მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულების გაფორმება.

ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესრულებული არ ჰქონდა შემდეგი რეკომენდაციები:

- სკოლამ უზრუნველყოს სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და გაზიარების უზრუნველყოფის მექანიზმი, რითიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას სკოლის ფილოსოფიის სრულყოფაში;

- სკოლამ უზრუნველყოს სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და გაზიარების უზრუნველყოფის მექანიზმი, სადაც იქნება გაწერილი, სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარების პროცედურები და უკუკავშირის მიღების გზები;
- სკოლამ უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის უწყებასთან, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნასთან შესაბამისობის დასკვნის მოპოვება და სამედიცინო კაბინეტის კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად აღჭურვა;
- სკოლამ შეიმუშაოს ,,სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი“ და უზრუნველყოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა;
- სკოლამ უზრუნველყოს სკოლაში ინკლუზიური გარემოს შექმნა.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია დაინტერესდა, სკოლის უკან მდებარე ტერიტორიაზე ჰქონდათ თუ არა წვდომა მოსწავლეებს.
ექსპერტის, ცირა ნიკოლაშვილის თქმით, სკოლას ჰქონდა მორიგეობის სისტემა და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ იმ გარემოებას, რომ იმ ტერიტორიაზე, სადაც მდებარეობდა დაუსრულებელი შენობის საძირკველი, არ გადასულიყვნენ მოსწავლეები.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ნუგზარ კვანტალიანმა, აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც გადამზადებული იყო შესაბამისი მიმართულებით. მისი თქმით, სკოლის ტერიტორიაზე არსებული საძირკველის პრობლემის აღმოფხვრისთვის მიმართული ჰქონდათ პასუხისმგებელი ორგანოსთვის და ელოდნენ შემდგომ რეაგირებას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.
ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, ადმინისტრაციული წარმოების ვადების გათვალისწინებით, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2025 წლის 22 დეკემბერი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 16:20
დასრულების დრო: 16:24

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს

ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის საჯარო სკოლის (სკ/: 238762825) მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 22 დეკემბერი.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2026 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: 1-ელი, მე-3 და მე-4 სტანდარტები.

5. სსიპ - ქალაქ ქუთაისის N8 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 04 და 05 ნოემბერს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 01 ნოემბრის N1475517 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 350 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის დროს აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 189.
ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტების შეფასება. მისი თქმით, 1-ელი და მე-4 სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 სტანდარტი შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით“, ვინაიდან კომპონენტები 3.1, 3.2, 3.3, 3.4 და 3.5 შეფასდა „მეტწილად“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართა გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსზე და აღნიშნა, რომ შესრულებული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

- სკოლამ უზრუნველყოს შემუშავებული და დამტკიცებული მისიის, ხედვისა და ღირებულებების სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარება;
- სკოლამ უზრუნველყოს მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯაროდ ხელმისაწვდომობა;
- სკოლამ უზრუნველყოს მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრა, რაც მდგომარეობს შემდეგში: 1. სკოლამ უზრუნველყოს სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერ დოკუმენტში საშტატო განრიგით გათვალისწინებული პირების ფუნქციებისა და საშტატო განრიგით გათვალისწინებული თოთოეული პოზიციის მიხედვით ანგარიშვალდებულებისა და დაქვემდებარების სისტემის აღწერა და სკოლის სტრუქტურაში ასახოს ექიმისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის პოზიციები;
- სკოლამ უზრუნველყოს სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ისე, რომ აღნიშნული ემსახურებოდეს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას, კერძოდ: 1. უზრუნველყოს შესაბამისი სამედიცინო პერსონალის დასაქმება და სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირების ფარგლებში მომსახურების გაწევა. 2. მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის კუთხით ერთწლიან სამოქმედო გეგმაში პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულად გაითვალისწინოს პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. 3. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში პასუხისმგებელი პირებში ასახოს მხოლოდ ის პირები/სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც რეალურად არიან დასაქმებულები/ფუნქციონირებენ სკოლაში;
- სკოლამ უზრუნველყოს 2020 წლის ივნისიდან სკოლაში დასაქმებული ყველა თანამშრომლის პირად საქმეში შესაბამისი ნასამართლეობის ცნობების განთავსება, თანამშრომლების სკოლაში მიღების წესის გადახედვა, ცვლილებების შეტანა და დამტკიცება, უზრუნველყოს ხელშეკრულებების გაფორმება სკოლაში დასაქმებულ ყველა თანამშრომლებთან და განაახლოს 2014 წელს გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სკოლამ უზრუნველყოს საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და თანამშრომლების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის რეგულაციების გათვალისწინება სკოლის თანამშრომლებთან მიმართებით;
- სკოლამ უზრუნველყოს შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის (შენობის მდგრადობის შესახებ) მოპოვება, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მოპოვება;
- სკოლის ბიბლიოთეკის ფანჯრებზე დამცავი ჯებირის განთავსება;
- სკოლამ უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების თანამშრომლების წერილობითი თანხმობის საფუძველზე დამუშავება და პერსონალური მონაცემების დაცვის მარეგულირებელ დოკუმენტში მკაფიოდ განსაზღვროს პირები, რომლებსაც აქვთ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლება;
- სკოლამ უზრუნველყოს მატერიალური რესურსების სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, კერძოდ, სასწავლო რესურსების კატალოგისა და წიგნადი ფონდის საბიბლიოთეკო წარმოების წესის შესაბამისად დამუშავება;
- სკოლამ უზრუნველყოს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი სკოლების პორტალზე ჩაშენებულ სკოლის ვებ-გვერდზე ავტორიზაციის სტანდარტის შესაბამისი ინდიკატორით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსება სკოლის შესახებ;
- სკოლამ უზრუნველყოს: 1. საბიუჯეტო წლის განმავლობაში ბიუჯეტის ყოველი ცვლილება განახორციელოს სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით; 2. შესყიდვების

წლიური გეგმის ყოველი ცვლილება განახორციელოს დირექტორის მიერ გამოცემული შიდა ბრძანებების (ინდივიდუალური ადმინისტარციულ-სამართლებრივი აქტები) საფუძველზე. 3. სამეურვეო საბჭოს წინაშე ფინანსური საქმიანობის ანგარიშის წარდგენა სკოლის დირექტორმა უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში (10 დეკემბრამდე);

- სკოლამ უზრუნველყოს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმების დაცვა, კერძოდ, მოსწავლეების პირად საქმეებში დაწყებითი კლასების წლიური განმავითარებელი შეფასებების ასახვა საგნების მიხედით, ასევე მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობისა და სტატუსის შეჩრების შესახებ ინფორმაციის შეტანა.

ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესრულებული არ ჰქონდა შემდეგი რეკომენდაციები:

- სკოლამ უზრუნველყოს 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში სტრატეგიულ მიზნებთან და ამოცანების შესაბამის აქტივობებთან ერთად, შესრულების გაზომვადი ინდიკატორებისა და შესრულებისთვის საჭირო რესურსების (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური) ასახვა;
- შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე დასკვნის/სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ მიწერილობის მოპოვება;
- სამედიცინო კაბინეტის აღჭურვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესით განსაზღვრული ინვენტარითა და მედიკამენტებით;
- სკოლამ უზრუნველყოს: 1. საჯარო რეესტრის ამონაწერის განახლება; 2. სკოლის შიდა აზომვითი ნახაზების განახლება და ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის მიერ ნაწილობრივ იყო შესრულებული შემდეგი რეკომენდაციები:

- სკოლამ სასკოლო საზოგადოების ჩართულობით უზრუნველყოს სკოლის ფილოსოფიის შემადგენელი ნაწილების შემუშავება;
- უზრუნველყოს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება და დამტკიცება, რომელიც დაეფუძნება სკოლის ფილოსოფიას და მასში ასახული იქნება მისიასთან თავსებადი მიზნები და მიზნების შესაბამისი ამოცანები;
- სტრატეგიულ გეგმაზე დაფუძნებით, სკოლამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ ნაწილობრივ შესრულებულ რეკომენდაციებზე დეტალური აღწერა მოცემული იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია დაინტერესდა, რით იყო გამოწვეული ექიმთან და განახლებულ ამონაწერთან დაკავშირებული პრობლემები.

სკოლის დირექტორმა, ირაკლი ტაბატაძემ, აღნიშნა, რომ სკოლის რეაბილიტაციის დროს განხორციელდა სკოლის ტერიტორიაზე არსებული დამხმარე შენობის დემონტაჟი და განახლებული ამონაწერის მიღების პრობლემა წარმოშობილი იყო ამ გარემოებით, ექიმთან დაკავშირებით კი განმარტა, რომ დაასაქმეს პირი, რომელიც მომდევნო ერთი წლის განმავლობაში გაივლიდა რეზიდენტურას და დაადასტურებდა კვალიფიკაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ქუთაისის N8 საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი. ცე ნტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, ადმინისტრაციული წარმოების ვადების გათვალისწინებით, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2025 წლის 22 დეკემბერი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 16:43
დასრულების დრო: 16:49

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ქალაქ ქუთაისის N8 საჯარო სკოლის (სკ/: 212806070) მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 22 დეკემბერი.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის დეკემბერში სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების, სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიაში სტრატეგიული გეგმის დამტკიცებაზე უფლებამოსილი სტრუქტურის კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრის, შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმაში სტრატეგიული მიზნების და მიზნების შესაბამისი ამოცანების გამოყოფის, ერთწლიანი გეგმის სტრატეგიულ გეგმასთან შესაბამისობაში მოყვანის,

საკუთარი რეგულაციების დაცვის და სამოქმედო გეგმაში სტრატეგიული მიზნების/ამოცანების, შესრულების გაზომვადი ინდიკატორების, პასუხისმგებელი პირების/სტრუქტურული ერთეულების და შესაბამისი რესურსების გამოკვეთის, სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით შეფასების, სახელმწიფო სერტიფიკატის მქონე ექიმის დასაქმების, სკოლის მიერ შემუშავებული რეგულაციის, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესაბამისად პერსონალის განვითარების, სისტემური შეფასების და პროცესის დოკუმენტირების, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის პრინციპების და მექანიზმების დანერგვის და სასწავლო პროცესის მართვისას მისი გამოყენების, სისტემური დაგეგმვის, შიდა შეფასების ჩატარების და მიღებული შედეგების საფუძველზე პროცესის გაუმჯობესების მიზნობრივი ღონისძიებების განხორციელების, სამედიცინო კაბინეტის სრულად აღჭურვის, საჯარო რეესტრის ამონაწერის განახლებისა და სკოლის შიდა აზომვითი ნახაზების ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანის, ხოლო შესრულებისა და შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებისთანავე, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების სრულად გათვალისწინების და შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 16:52 საათზე საბჭოს სხდომა დასრულებულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე